45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი # 1

ქ. ნინოწმინდა 05.04.2022 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:</u> **ალექსანდრე მიქელაძე** – მერის პირველი მოადგილე;
<u>სატენდრო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:</u> **საიათ მკოიან** — ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>
ვლადიმერ ჩალათაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;
სამველ არზუმანიანი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ხორენ ავეტისიანი – სატენდერო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის უფროსი;
შირაკ გალოიანი - ინფრასტრუქტურისა და სივრცითმოწყობის განყოფილების უფროსი.
სოს ბდოიან – ზედამხედველობისა და რეაგირების სამსახურის განყოფილების უფროსი;

<u>სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:</u>
ეკატერინე ოქრომელიძე – მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
ტიგრან ალვანჯიან – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

დღის წესრიგი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა–დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მიქელაძემ, კომისიას გააცნო, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV-45300000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო **80 000 (ოთხმოცი ათასი)** ლარი დღგ-ს გათვალისწინებით. აღნიშნულ შესყიდვაზე საჭიროა ტენდერის გამოცხადება. მან კომისიის წევრებს გააცნო ინფრასტრუქტურისა და სივრცითმოწყობის სამსახურის მიერ მოწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტები, რომლის მიხედვით საჭიროა ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ აღწერილობაზე, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტში გათვალისწინებულ პირობებზე და მისაღებად ჩათვალეს სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი. ტექნიკური პირობებისა და მოთხოვნების გარდა, სატენდერო კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება ელექტრონული ტენდერის NAT წესით გამოცხადებაზე.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე–2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით

დამტკიცებული წესის შესაბამისად, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: /ალექსანდრე მიქელაძე/

თავმჯდომარის მოადგილე: / საიათ მკოიან /

კომისიის წევრები: /ვლადიმერ ჩალათაშვილი/

/ხორენ ავეტისიანი/

/სოს ბდოიან/

/სამველ არზუმანიან/

/შირაკ გალოიან/

აპარატის წევრები: /ეკატერინე ოქრომელიძე/

/ტიგრან ალვანჯიან/